ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესი შემუშავებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ“) შინაგანაწესის საფუძველზე და განსაზღვრავს ბსუ-ს სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართით (შემდეგში ,,საერთო საცხოვრებელი“) სარგებლობის პირობებს და ადმინისტრირების წესს.

2. საერთო საცხოვრებელი არის ბსუ-ს კანონიერ სარგებლობაში არსებული ფართის ნაწილი, რომელიც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე განისაზღვრება საცხოვრებელ ფართად და მისი სარგებლობის ადმინისტრირება ხორციელდება წინამდებარე წესის შესაბამისად.

მუხლი 2. საერთო საცხოვრებლის მოსარგებლე

1. საერთო საცხოვრებლით შეიძლება შესაბამისი საფასურის გადახდის სანაცვლოდ ისარგებლოს **(სასყიდლიანი სარგებლობა)** :

ა) ბსუ-ს სტუდენტმა;

ბ) ბსუ-ს პროფესიულმა სტუდენტმა.

2. საერთო საცხოვრებლით შეიძლება უსასყიდლოდ ისარგებლოს პირმა, რომელიც მოკლევადიანი ვიზიტით, სამუშაოდ ან მემორანდუმის/ხელშეკრულების ფარგლებში, იმყოფება ბსუ-ში (შემდეგში ,,სტუმარი“).

3. სასწავლო წლებს შორის პერიოდში (საზაფხულო არდადეგები), ასევე სასწავლო წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს, სტუდენტთათვის განკუთვნილ საცხოვრებელ ფართში თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა პირებს შეიძლება მიენიჭოთ სასყიდლიანი სარგებლობის უფლება.

4. საერთო საცხოვრებელში სტუდენტთათვის განსაზღვრული ადგილების რაოდენობა თუკი ნაკლებია ფართის სარგებლობაში მიღების მსურველთა რაოდენობაზე, უპირატესობა მიენიჭება პირებს, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით (რიგითობით):

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონეს;

ბ) სოციალური პირობების გათვალისწინებით (სოციალურად დაუცველი - რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულის 70 000 და ნაკლების მქონე; ,,მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სოფლებისა და რაიონების მცხოვრები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად

აღიარებულის შვილი; საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის შვილი; ობოლი (დედ-მამით, დედით ან მამით) ან მარტოხელა დედა; იძულებით გადაადგილებული (დევნილის) სტატუსის მქონე; მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი) ოჯახის წევრი; ეკომიგრანტის (სტიქიით დაზარალებული) ოჯახის წევრს;). ამ პუნქტში აღნიშნული კრიტერიუმი გაითვალისწინება იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტის აკადემიური მოსწრება არის არანაკლებ 3.0 GPA შეფასება;

გ) უფრო მაღალი აკადემიური მოსწრების (მაგრამ არანაკლებ 3.0 GPA შეფასების მქონე) ბსუ-ს სტუდენტს.

5. საერთო საცხოვრებელში სტუდენტთათვის განსაზღვრული ადგილების რაოდენობა თუკი ნაკლებია ფართის სარგებლობაში მიღების მსურველთა რაოდენობაზე, უპირატესობა მიენიჭება პირებს, სწავლების საფეხურის მიხედვით **(რიგითობით)**:

ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს;

ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს;

გ) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს.

6. საერთო საცხოვრებელში ბსუ-ს პროფესიული სტუდენტთათვის განსაზღვრული ადგილების რაოდენობა განისაზღვრება ბსუ-ს სტუდენტებისათვის განსაზღვრული საერთო რაოდენობის 10 %-ის ოდენობით. თუკი ამ ადგილების რაოდენობა ნაკლებია ფართის სარგებლობაში მიღების მსურველ პროფესიული სტუდენტების რაოდენობაზე, უპირატესობა მიენიჭება პირებს, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით (რიგითობით):

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონეს;

ბ) სოციალური პირობების გათვალისწინებით (სოციალურად დაუცველი - რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულის 70 000 და ნაკლების მქონე; ,,მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სოფლებისა და რაიონების მცხოვრები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულის შვილი; საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის შვილი; ობოლი (დედით ან მამით) ან მარტოხელა დედა; იძულებით გადაადგილებული (დევნილის) სტატუსის მქონე; მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი) ოჯახის წევრი; ეკომიგრანტის (სტიქიით დაზარალებული) ოჯახის წევრს;).

მუხლი 3. საერთო საცხოვრებლით სარგებლობის უფლების მოპოვება

1. ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ბსუ-ს სტუდენტი რეგისტრაციას გაივლის ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით (რეგისტრაციის გავლამდე აუცილებელია სტუდენტმა ამავე პორტალზე შეავსოს ე.წ. სტუდენტის სოციალური ბარათი).

2. ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად პირი (ბსუ-ს პროფესიული სტუდენტი, უცხოელი სტუდენტი ბსუ-ში სწავლის პერიოდში ან სხვა, ბსუ-ს სტუმარი) ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით განცხადებით მიმართავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. განცხადება შედგენილი უნდა იქნეს ამ წესის თანდართული ფორმის შესაბამისად **(ფორმა N1**), რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) ცნობა ბსუ-ს სტუდენტის/პროფესიულის სტატუსის შესახებ;

ბ) ბსუ-ში საქმიანი ვიზიტის საფუძველი (სტუმრის შემთხვევაში);

გ) 1 ცალი ფოტოსურათი (3/4);

დ) პირადობის მოწმობის (უცხოელის შემთხვევაში პასპორტის) ქსეროასლი;

ე) სხვა დოკუმენტი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების შესაბამისად.

3. საერთო საცხოვრებლის ფართის სარგებლობის მსურველის განცხადებების დამუშავებას ახდენს საერთო საცხოვრებლის მენეჯერი (მატერიალური სახით წარმოდგენილი განცხადებები, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად წარმოდგენილი და სტუდენტურ პორტალზე დარეგისტრირებული ბსუ-ს სტუდენტების შესახებ ინფორმაცია, რომელზეც აქვს წვდომა). კონკურსის შემთხვევაში შესაძლებელია საერთო საცხოვრებლის ფართის სარგებლობის მსურველთა განცხადებების გადარჩევა საცხოვრებელის მენეჯერმა აწარმოოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის პერსონალის ჩართულობით.

4. საერთო საცხოვრებლის მენეჯერი უზრუნველყოფს ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის მსურველსა და ბსუ-ს შორის ხელშეკრულების **(ფორმა N2)** გაფორმებას (ბსუ-ს მხრივ ხელს აწერს საცხოვრებლის მენეჯერი).

5. **მოსარგებლესთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ**, საცხოვრებლის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება შესაბამისი პირისათვის ბსუ-ს საერთო საცხოვრებელში ფართის გამოყოფის შესახებ და სარეგისტრაციო ჟურნალში შეიტანება მონაცემები: მოსარგებლისათვის გადაცემული ოთახის ნომრის, ოთახში არსებული მოძრავი ნივთებისა (ავეჯი და სხვა ინვენტარი) და სარგებლობის ხანგრძლივობის შესახებ. სარეგისტრაციო ჟურნალის შესაბამის გრაფაში ხელმოწერით მოსარგებლე ადასტურებს მასში ასახული ინფორმაციის სისწორეს.

6. მოსარგებლესთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა **არ უნდა აღემატებოდეს:**

ა) ბსუ-ს სტუდენტთან - არაუმეტეს ერთ სასწავლო წელს (არაუმეტეს 10 თვისა);

ბ) ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთან - არაუმეტეს შესაბამისი პროგრამის ხანგრძლივობით;

გ) ბსუ-ს დასაქმებულთან - არაუმეტეს შრომითი ურთიერთობის პერიოდს;

დ) სხვა პირთან (ბსუ-ს სტუმარი ან სხვა) - არაუმეტეს შესაბამისი სამართლებრივი აქტით/მემორანდუმით/ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადისა.

7. მოსარგებლესთან გაფორმებული ხელშეკრულებების აღრიცხვას საერთო საცხოვრებლის მენეჯერი აწარმოებს სპეციალურ ჟურნალში, ბსუ-ს საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად. შესაბამის წერილობით ინფორმაციას აწვდის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხოლო ყოველი კალენდარული წლის ბოლოს და ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან კონსულტაციის საფუძველზე, ხელშეკრულებებს შესანახად გადასცემს ბსუ-ს არქივს.

მუხლი 4. საერთო საცხოვრებლით სარგებლობის პირობები

1. საერთო საცხოვრებლით მოსარგებლემ უნდა იცხოვროს მისთვის გადაცემულ ოთახში (ოთახის გასაღები გადაეცემა საცხოვრებლის ადმინისტრაციის მიერ, ხოლო მეორე გასაღები უნდა ინახებოდეს საერთო საცხოვრებლის მენეჯერთან) და უფლება აქვს ისარგებლოს ყველა იმ კომუნალური პირობებით (ელექტროენერგია, წყალი და გაზი) და ინვენტარით/მოწყობილობით (საწოლი, კარადა, მაგიდა, სკამი და სხვა), რომელიც არსებობს შესაბამის ოთახში/შენობაში.

2. **მოსარგებლე ვალდებულია:**

ა) გაუფრთხილდეს საცხოვრებლის ინვენტარს, ხოლო დაზიანების შემთხვევაში - აანაზღაუროს მისი ღირებულება;

ბ) დაიცვას სარგებლობის წინამდებარე წესი, სარგებლობის ხელშეკრულებისა და საცხოვრებლის ადმინისტრირებისას განსაზღვრული მოთხოვნები;

გ) დაზოგოს ელექტროენერგია, წყალი და გაზი;

გ) დაიცვას სისუფთავე და წესრიგი, ტექნიკური, სანიტარული და სახანძრო უსაფრთხოების ნორმები;

დ) დაიცვას სიმყუდროვე (არ შეუშალოს ხელი სხვა მოსარგებლეს (იმავე ან/და სხვა ოთახის) მუშაობაში, მეცადინეობასა ან/და დასვენებაში);

ე) მისთვის გადაცემული ოთახის სარგებლობის **5 დღეზე მეტი ვადით შეწყვეტის** შემთხვევაში მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია საცხოვრებლის ადმინისტრაციას, ხოლო **10 დღეზე მეტი ხნით შეწყვეტის შემთხვევაში,** ასევე, ჩააბაროს მიბარებული საგნები;

ვ) გაუფრთხილდეს საცხოვრებელში არსებულ ნივთებს, არ გადაადგილოს ავეჯი და აღჭურვილობა საცხოვრებლის ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე;

ზ) სარგებლობის შეწყვეტის შემთხვევაში, მის მიერ დაკავებული ფართი (იქ არსებულ ინვენტართან ერთად) ჩააბაროს უნივერსიტეტის უფლებამოსილ პირს (საცხოვრებლის ადმინისტრაცია).

მუხლი 5. საერთო საცხოვრებელში დადგენილი აკრძალვები

1. საერთო საცხოვრებელში აკრძალულია:

ა) თამბაქოს მოწევა, აზარტული თამაშები, ალკოჰოლური ან/და ნარკოტიკული საშუალებების მიღება ან/და შემოტანა;

ბ) პოლიტიკური ან/და რელიგიური სააგიტაციო, სარეკლამო ფურცლებისა და პროკლამაციების შემოტანა და გავრცელება;

გ) წარწერების გაკეთება ან დახატვა შენობაში და შენობის კედლებზე, ეთიკურად შეუფერებელი სურათების/ფოტოების და ა.შ. განთავსება;

დ) ცეცხლსასროლი, გაზის/საფანტის ან ცივი იარაღით შემოსვლა;

ე) საცხოვრებლის ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე ოთახის გასაღების შეცვლა ან ღამის გასათევად გარეშე პირთა მიღება;

ვ) წვეულების მოწყობა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სხვა მობინადრეთა მყუდროების დარღვევა;

ზ) ღამის 23:00 საათის შემდეგ ისეთი ქმედება, რაც იწვევს სხვათა მყუდროების დარღვევას (ხმაური ან/და შუქი);

თ) ბსუ-ს შინაგანაწესის ან/და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური სამართალდარღვევის ან/და არაეთიკური ქმედების ჩადენა.

2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაძლებელია დადგინდეს სხვა შეზღუდვები, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე.
3. დადგენილ აკრძალვებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის უსაფრთხოებისა და დაცვის განყოფილების პერსონალის ან/და საცხოვრებლის ადმინისტრაციის (მენეჯერის) განკარგულება სავალდებულოა შესასრულებლად.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა საცხოვრებლით სარგებლობის წესის დარღვევისათვის

1. მოსარგებლის მიერ წინამდებარე წესისა ან/და ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში საცხოვრებელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის (მენეჯერის ან სხვა) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ბსუ-ს ადმინისტრაცია უფლებამოსილია შეწყვიტოს მოსარგებლესთან ხელშეკრულება და მოითხოვოს სარგებლობის შეწყვეტა (დაკავებული ფართის თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარება).
2. ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესის დარღვევის შემთხვევაში მოსარგებლის მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ბსუ-ს შინაგანაწესით ან/და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები.
3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუკი მოსარგებლესთან ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით ვადაზე ადრე შეწყდება ხელშეკრულება, მოსარგებლე ვალდებულია გადაიხადოს მიმდინარე თვის გადასახადი (თუკი წინასწარ გადაიხადა - არ უბრუნდება).

მუხლი 7. საერთო საცხოვრებლით სარგებლობის საფასური

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განისაზღვრება საერთო საცხოვრებლის ფართით სარგებლობის საფასური (გადასახდელი).
2. საფასურის გადახდა ხორციელდება: სარგებლობის პირველი თვის - საცხოვრებელში რეგისტრაციიდან არაუგვიანეს მე-5 სამუშაო დღისა, ხოლო მომდევნო თვეების - შესაბამისი თვის არაუგვიანეს 10 რიცხვისა.
3. მოსარგებლის მიერ სარგებლობის საფასურის გადახდის მონიტორინგს ახორციელებს საერთო საცხოვრებლის მენეჯერი და შესაბამის წერილობით ინფორმაციას წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

მუხლი 8. საერთო საცხოვრებლით სარგებლობის უფლების შეწყვეტა

საერთო საცხოვრებლით სარგებლობა შეწყვეტილი უნდა იქნეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას ან სტუდენტის სტატუსის შეჩერებისას (სტუდენტის შემთხვევაში);
ბ) ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას ან პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისას (პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში);
გ) 2 (ორ) თვეზე მეტი ვადით ბსუ-სთან შრომითი ურთიერთობის შეჩერებისას (დასაქმებულის შემთხვევაში);
დ) სასწავლო წლის (დასკვნითი გამოცდების) დასრულებიდან არაუგვიანეს მე-5 სამუშაო დღისა (სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში);
ე) საცხოვრებლით სარგებლობის საფასურის ზედიზედ ორი თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში;

ვ) საერთო საცხოვრებლის სარგებლობის შეწყვეტის შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს მე-5 სამუშაო დღისა;

ზ) ბსუ-ს შინაგანაწესის ან/და ეთიკის კოდექსის ან/და ბსუ-სთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მუხლი 9. საერთო საცხოვრებლის ადმინისტრირება

1. ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის ადმინისტრირებას ხელმძღვანელობს **მენეჯერი, რ**ომელიც:

ა) ახორციელებს მოსარგებლესთან ამ წესით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებას (ხელს აწერს ბსუ-ს სახელით), მათ აღრიცხვას და საცხოვრებელის საქმისწარმოებას;

ბ) აწარმოებს მოსარგებლეთა საცხოვრებელში რეგისტრაციის ჟურნალს;

გ) მონიტორინგს უწევს მოსარგებლეთა მიერ სარგებლობის საფასურის გადახდას;

დ) უზრუნველყოფს წინამდებარე წესის მოთხოვნათა და საცხოვრებლის მართვასთან დაკავშირებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სხვა მითითებების შესრულებას.